

ოჯახის ექიმის ონლაინ მომსახურების ხარისხი COVID-19-ის პანდემიის
დროს საქართველოში

მაგისტრანტი: ვენერა სარდანაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით“

ვ.სახდანიანი

02.07.2022

აბსტრაქტი

პირველადი ჯანდაცვა და ოჯახის ექიმი COVID-19-ის პანდემიასთან ბრძოლის მთავარი ძალა აღმოჩნდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის. ტენდენციას არც საქართველოს ჯანდაცვის სექტორი ჩამორჩა. 2020 წლის 30 მარტიდან ამოქმედდა კანონი, რომელიც უზრუნველყოფდა, ქვეყნის მაშტაბით SARS CoV 2 ვირუსისგან გამოწვეული შემთხვევების მართვას პირველად ჯანდაცვაში. პირველადი ჯანდაცვის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, ვირუსთან საბრძოლველად, ოჯახის ექიმი აღმოჩნდა. რომლის მთავარი მოვალეობა ბინაზე იზოლაციაში მყოფი COVID-19-ის გამომწვევი ვირუსით ინფიცირებული ადამიანების ჯანმრთელობის ონლაინ მონიტორინგი იყო.

ნაშრომის კვლევის მიზანი იყო კერძო და სახელმწიფო სექტორის ოჯახის ექიმების მომსახურების ხარისხის დადგენა, რომლებიც ონლაინ კონსულტირების გზით მართავდნენ COVID-19-ის გამომწვევი ვირუსით ინფიცირებული პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობას ბინაზე იზოლაციაში ყოფნის დროს. მიზნიდან გამომდინარე გაირკვა რამდენად შეძლო ოჯახის ექიმმა მოვალეობის შესრულება და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვა.

კვლევის მიზნის მისაღწევად შეირჩა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი და რესპონდენტები გამოიკითხნენ ონლაინ ანკეტირების გზით. საკვლევი პოპულაცია იყო ადამიანთა ჯგუფი, რომლებმაც მინიმუმ ერთხელ გადაიტანეს COVID-19 ინფექცია, იზოლაციის პერიოდი გაატარეს ბინაზე და მათი ჯანმრთელობის მონიტორინგი ხდებოდა ოჯახის ექიმის დახმარებით ონლაინ.

კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახის ექიმის ონლაინ მომსახურებით რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი კმაყოფილია, ისინი ექიმისგან გრძნობდნენ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, ჯანმრთელობის მდგომარეობის ყოველდღიური მონიტორინგი საფუძვლიანი იყო. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც პაციენტები თვითონვე იჩენდნენ ინიციატივას ოჯახის ექიმთან დასაკავშირებლად.

საძიებო სიტყვები: COVID-19, პირველადი ჯანდაცვა, ოჯახის ექიმი, ონლაინ მონიტორინგი.

Abstract

Many countries around the world have proved to be effective at fighting the COVID-19 pandemic by providing primary care and “family medicine”. Likewise, Georgia’s healthcare sector did not lag behind. On March 30, 2020, a law was enacted ensuring the management of cases of COVID 19 through primary care. Among the main objectives of primary health care, to combat COVID 19 virus, was the role of family doctor, whose primary responsibility was to monitor the health of individuals in isolation at home. The aim of the study was to determine the quality of services provided by private and public sector family doctors who, through online counseling, managed the health status of patients infected with the COVID-19 virus while in isolation at home. Based on the goal, it was found out how family doctors were able to perform their duties and manage the patient's health condition. Quantitative research method was selected to achieve the purpose of the research and respondents were interviewed through online surveys. The study population was a group of people who had at least once contracted COVID-19 infection, spent a period of isolation at home, and their health was monitored online with the help of a family doctor. According to the poll, the majority of participants were happy with their family doctor's online services, felt that the doctor provided them with psychological support, and appreciated the thorough daily monitoring of their health. However, there have been cases where patients have taken the initiative to contact their family doctor.

Key Words: COVID-19, Primary Care, Family Doctor, Online Monitoring.